ზაარლანდის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2013 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ზაარლანდის უნივერსიტეტში სტიპენდიების მოსაპოვებლად.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ ყველა ფაკულტეტის დოქტორანტებს (მოკლეევადიანი კვლევითი სტიპენდია).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ელექტრონულად შევსებული **ფორმულარი** (2 ეგზემპლარი)
- ერთი რეკომენდაცია ქართულ და გერმანულ ენაზე (ნოტარიული დამოწმება არ არის საჭირო)
- დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- მაგისტრის დიპლომის ასლი
- მიმღები უნივერსიტეტის პროფესორის წერილობითი თანხმობა
- ორი ფერადი ფოტო–სურათი ზომით 3/4 (გთხოვთ, დააკრათ ფორმულარებს)
- პასპორტის ასლი

გაცვლითი პროგრამა არ ანაზღაურებს საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის ხარჯებს.

<u>საბუთების მიღების ბოლო ვადაა: 2012 წლის 30 ნოემბრის 12 საათი</u>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ირინა გამყრელიძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).

შენიშვნა: გერმანულენოვან დოქტორანტებს არ მოეთხოვებათ ენის ტესტის დაწერა, გამონაკლისის სახით გერმანული ენის არცოდნის შემთხვევაში კონკურსზე დაიშვებიან მხოლოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისურენოვანი დოქტორანტები.

დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!

კონკურსზე არ დაიშვებიან 2011/2012 სასწავლო წლის ზაარლანდის კონკურსის გამარჯვებულები!

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212